ეკონომიკური განვითარების,
საინვესტიციო პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების
კომისიის სხდომის

ოქმი #44

2024წ. 20 დეკემბერი 12.00 საათი ქ.თბილისი, თავისუფლების მოედანი #2

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

ა.ცინცაძე, ა.ხუჯაძე, ლ.დავითაშვილი,
ნ.რუხაძე, მ.კაკაურიძე, გ.შარაშიძე

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე:

ქონების მართვის და საფინანსო-საბიუკეტო კომისიის წევრები

ნინო ბაგაშვილი - სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო, უფროსის მოადგილე

გაიოზ თალაკვაძე - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახურის უფროსი

ლევან მიქავა - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახურის უფროსის მოადგილე

სხდომას თავმჯდომარეობდა:

კომისიის თავმჯდომარე ლ.არველაძე

სხდომის თავმჯდომარე ლ.არველაძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და სხდომა გახსნილად გამოაცხადა.

კომისიის წევრთა მიერ მოწონებული იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

სხდომის დღის წესრიგი:

1. "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პროექტის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025-2028 წლების პრიორიტეტების დოკუმენტი
N:12-032434554-03 11.12.2024წ.
2. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, გიორგი ნადარეიშვილის ქუჩა, N38/40-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.17.12.003.271, ფართობი - 6 562 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი
N:12-032433343-03 29.11.2024წ.
3. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, გლდანის VI მიკრო/რაიონში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.11.10.010.016, ფართობი - 741 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი
N:12-032433342-03 29.11.2024წ.
4. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, მოსკოვის გამზირის N9ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.17.12.003.207, ფართობი - 2 500 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი
N:12-032433341-03 29.11.2024წ.
5. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N 234ბ - ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.72.14.202.015, ფართობი - 8 194 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი
N:12-03243544-03 19.12.2024წ.
6. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, გაზაფხულის ქუჩა N10-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.14.15.001.074, ფართობი - 3 654 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი
N:12-032427740-03 03.10.2024წ.

1. მოისმინეს:

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახურის უფროსმა გაიოზ თალაკვაძემ დეპუტატებს გააცნო "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პროექტის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025-2028 წლების პრიორიტეტების დოკუმენტი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პროექტით ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობის პრიორიტეტის ფარგლებში განსახორციელებელი პროგრამები დაფინანსდება **2709.5 ათასი ლარით,** მათ შორის

ბიზნესის სტიმულირება (კოდი : 04 01) - დაფინანსდება 1 583,5 ათასი ლარით;

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება: ქ. თბილისში დარეგისტრირებული მცირე მეწარმეების ხელშეწყობის და მათი წარმოებული პროდუქციის პოპულარიზაციის მიზნით გამოფენა-გაყიდვა "თბილისური ბაზარი"-ს მოწყობა (მ. შ. დააგემოვნე თბილისის ქუჩებში) - 1 190 000 ლარით;

ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების საერთაშორისო ფორუმი - 330 000 ლარით;

ინოვაციური პროექტების, იდეების, ახალი ტექოლოგიების დანერგვის ხელშეწყობა - 63 500 ლარით;

თბილისის განვითარების კვლევები, სტრატეგიები და პროექტები (კოდი: 04 03) - დაფინანსდება 326,0 ათასი ლარით;

თბილისის შესახებ ბეჭდური საპრომოციო მასალების დაბეჭდვა - 30 000 ლარი;

თბილისის საიმიჯო მასალების დამზადება (ჩანთები, ბლოკნოტები და სხვა) – 20 000 ლარი;

თბილისის ეკონომიკური განვითარების სტრატეგია - 276 000 ლარი, მათ შორის:

ეკონომიკის განვითარებასთან დაკავშირებით შეხვედრების ორგანიზება - 10 000 ლარი;

უძრავი ქონების საბაზრო ღირებულების შესახებ კვლევა - 10 000 ლარით;

ეკონომიკური განვითარების კვლევა - 256,0 ათასი ლარით;

თბილისი - საერთაშორისო ქსელებსა და პროექტებში (კოდი: 04 04) - 130,0 ათასი ლარით;

საერთაშორისო და ადგილობრივ ღონისძიებებში მონაწილეობა/ორგანიზება- თბილისის პრომოუშენი - 50 000 ლარი;

საერთაშორისო ორგანიზაციებსა და ასოციაციებში თბილისის გაწევრიანება - 80 000 ლარი;

თბილისში შემომყვანი ტურიზმის მხარდაჭერა (კოდი : 04 08) – 480,0 ათასი ლარით;

მცირე ტურისტული ინფრასტრუქტურის (მანიშნებლები, საკემპინგე ადგილები, მარშუტების მარკირება და სხვა) – 90000 ლარი;

ტურიზმის სექტორის ბეჭდური და ციფრული გამოცემების ჟურნალისტების, ბლოგერების და ტურისტული ასოციაციების წარმომადგენლების თბილისის ტურისტული პოტენციალის

შესასწავლად მოწვევა (ინფო-ტურები), მათი ვიზიტების ორგანიზება და თბილისის ტურისტული პოტენციალის წარმოსაჩენად შესაბამის გამოცემებში ინფორმაციის განთავსება (მოიცავს განთავსების ხარჯებს, ავიაბილეთებს, კვებას, გიდებს, ტრანსპორტირებას) – 85 000 ლარი;

სხვადასხვა ქვეყნის გამყვან ტურიზმზე ორიენტირებული კომპანიების თბილისის ტურისტული პოტენციალის შესასწავლად მოწვევა - 50 000 ლარი;

სექტორულ ასოციაციებში და guide book-ებში თბილისის გაწევრიანება - 50 000 ლარი;

ინდუსტრიის წარმომადგენლებისათვის უნარ-ჩვევების და სერვისის გასაუმჯობესებლად თემატური სემინარებისა და ვორქშოფების ორგანიზება - 40 000 ლარი;

ადგილობრივი თემატური ღონისძიებების ორგანიზება/თანაორგანიზება, მათ შორის შეხვედრების ტურიზმის ინდუსტრიის წარმომადგენლებთან - 30 000 ლარი;

საერთაშორისო ღონისძიებებში მონაწილეობა ან/და ორგანიზება/თანაორგანიზება - 70 000 ლარი;

ტურისტული მასალის საზღვარგარეთ გადასატანად საფოსტო მომსახურება - 20 000 ლარი;

ქალაქის საინვესტიციო პოტენციალის რეალიზაცია (კოდი: 04 09) – 190,0 ათასი ლარით;

ადგილობრივი და საერთაშორისო საინვესტიციო ბიზნეს ფორუმის ორგანიზება/ თანაორგანიზება და მონაწილეობის მიღება - 50000 ლარი;

შეხვედრები ბიზნეს სექტორის წარმომადგენლებთან, ეკონომიკური განვითარების სამსახურის დაგეგმილი პროექტების გაცნობა/პრეზენტაცია ადგილობრივი და საერთაშორისო ინვესტორებისთვის – 15000 ლარი;

პრიორიტეტული საინვესტიციო სექტორების მხარდამჭერი პროგრამების შემუშავება და საინფორმაციო კამპანიის დაფინანსდება - 100000 ლარით;

საერთაშორისო ინვესტორებისათვის დროებითი სამუშაო სივრცის ორგანიზება/მოწყობა - 25000 ლარი.

2. მოისმინეს:

სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო, უფროსის მოადგილემ ნინო ბაგაშვილმა სხდომაზე წარმოადგინა „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, გიორგი ნადარეიშვილის ქუჩა, N38/40-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.17.12.003.271, ფართობი - 6 562 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე“.

N01.17.12.003.271 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 8 აგვისტოს N7172415 ბრძანებით დადგენილია მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლისთვის (კ-2=4.6).

დაინტერესებული პირის მიერ, ხელშემწყობი ღონისძიების სახით მოთხოვნილია მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) ზღვრული მაჩვენებლის გადამეტება კ-2=4.6-დან კ-2=5.6-მდე, რაც გულისხმობს არსებულ მოცულობაზე 4 (ოთხი) მიწისზედა სართულის დამატებასა და 23 (ოცდასამი) სართულიანი შენობის განთავსებას. ასევე, მოთხოვნილია გადამეტებულ ფართზე პროექტის შეთანხმებისას სიმაღლის ნაწილში არ იქნას გათვალისწინებული კანონით განსაზღვრული რეგულაციები. განკარგულების შესრულების შემთხვევაში მოსალოდნელია ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის ზრდა - 1,482,594.57 ლარით.

თავი შეიკავა: გ.შარაშიძე

3. მოისმინეს:

სხდომაზე განხილული იქნა, აგრეთვე, „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, გლდანის VI მიკრო/რაიონში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.11.10.010.016, ფართობი - 741 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე“.

დაინტერესებული პირის მიერ, ხელშემწყობი ღონისძიების სახით მოთხოვნილია მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) ზღვრული მაჩვენებლის გადამეტება კ-2=2.5-დან კ-2=3.8-მდე, რაც გულისხმობს 8 (რვა) სართულიანი შენობის განთავსებას. ასევე, მოთხოვნილია გადამეტებულ ფართზე პროექტის შეთანხმებისას სიმაღლის ნაწილში არ იქნას გათვალისწინებული კანონით განსაზღვრული რეგულაციები. განკარგულების შესრულების შემთხვევაში მოსალოდნელია ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის ზრდა - 393,419.52 ლარით.

თავი შეიკავა: გ.შარაშიძე

4. მოისმინეს:

კომისიის წევრებმა იმსჯელეს „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, მოსკოვის გამზირის N9ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.17.12.003.207, ფართობი - 2 500 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე".

დაინტერესებული პირის მიერ, ხელშემწყობი ღონისძიების სახით მოთხოვნილია მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) ზღვრული მაჩვენებლის გადამეტება კ-2=4.6-დან კ-2=5.4-მდე, რაც გულისხმობს 21 (ოცდაერთ) სართულიანი შენობის განთავსებას. ასევე, მოთხოვნილია გადამეტებულ ფართზე პროექტის შეთანხმებისას სიმაღლის ნაწილში არ იქნას გათვალისწინებული კანონით განსაზღვრული რეგულაციები. განკარგულების შესრულების შემთხვევაში მოსალოდნელია ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის ზრდა - 541 774.26 ლარით.

თავი შეიკავა: გ.შარაშიძე

5. მოისმინეს:

სხდომაზე განხილული იქნა, აგრეთვე, „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივნის N234ბ-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.72.14.202.015, ფართობი - 8 194 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე".

დაინტერესებული პირის მიერ, ხელშემწყობი ღონისძიების სახით მოთხოვნილია მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) ზღვრული მაჩვენებლის გადამეტება კ-2=2.5-დან კ-2=3.0-მდე, რაც გულისხმობს არსებულ მოცულობაზე, ,,ა'' ბლოკზე - 2 (ორი) და ,,ბ'' ბლოკზე - 2 (ორი) მიწისზედა სართულების დამატებასა და ერთი 14 (თოთხმეტ) სართულიანი და ერთი 16 (თექვსმეტ) სართულიანი შენობის განთავსებას. ასევე, მოთხოვნილია გადამეტებულ ფართზე პროექტის შეთანხმებისას სიმაღლის ნაწილში არ იქნას გათვალისწინებული კანონით განსაზღვრული რეგულაციები. განკარგულების შესრულების შემთხვევაში მოსალოდნელია ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის ზრდა - 1 330 705.60 ლარით.

თავი შეიკავა: გ.შარაშიძე

6. მოისმინეს:

ნინო ბაგაშვილმა წარმოადგინა „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, გაზაფხულის ქუჩა N10-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან

(საკადასტრო კოდი: N01.14.15.001.074, ფართობი - 3 654 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე“

დაინტერესებული პირის მიერ, ხელშემწყობი ღონისძიების სახით მოთხოვნილია მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) ზღვრული მაჩვენებლის გადამეტება კ-2=2.5-დან კ-2=3.5-მდე, რაც გულისხმობს 23 (ოცდასამ) სართულიანი შენობის განთავსებას. ასევე, მოთხოვნილია გადამეტებულ ფართზე პროექტის შეთანხმებისას სიმაღლის ნაწილში არ იქნას გათვალისწინებული კანონით განსაზღვრული რეგულაციები.

N01242543790-67 (N01242744160-67; N01242744755-67) განცხადებაზე წარმოდგენილია, ასევე, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტიზის დასკვნა N006789724, რომლის მიხედვითაც, საპროექტო მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება 2024 წლის 25 სექტემბრის მდგომარეობით, საორიენტაციოდ, შეადგენს 6 734 975.00 ლარს.

პროექტის მიღება არ გამოიწვევს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტიდან დამატებითი ხარჯების გამოყოფას, პირიქით, განკარგულების შესრულების შემთხვევაში მოსალოდნელია ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის ზრდა - 2 693 990 (ორი მილიონ ექვსას ოთხმოცდაცამეტი ათას ცხრაას ოთხმოცდაათი) ლარით.

თავი შეიკავა: გ.შარაშიძე

სხდომა წარიმართა კითხვა-პასუხის რეჟიმში.

კითხვები დასვეს: ლ.არველაძე, ა.ცინცაძე, მ.კაკაურიძე, ლ.დავითაშვილი.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახურის უფროსმა გაიოზ თალაკვაძემ და სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილემ ნინო ბაგაშვილმა შეკითხვებს ამომწურავი პასუხი გასცეს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების კომისიამ განხილული ყველა საკითხი შეაფასა დადებითად და მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხების საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანა.

ლ.არველაძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე ლ.არველაძე